საქართველოს მთავრობის

დადგენილება №160

2014 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში (სსმ, 31/12/2010, მუხლი 172) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ნოდარ ხადური	– საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე
ლაშა ხუციშვილი	– საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი ჯავახიშვილი	– საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე
მამუკა ბარათაშვილი	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
დავით ქევხიშვილი	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი
დავით მოლოდინი	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ზვიად კორძაია	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი
	– საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო

გაიოზ თალაკვაძე	დეპარტამენტის უფროსი
ოთარ იაშაღაშვილი	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
მიხეილ ადეიშვილი	– საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
შოთა კომლაძე	– საქართველოს ბიზნესასოციაციის საგადასახადო საკითხთა ექსპერტი
ზურაბ ძნელაშვილი	– საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი